ევროკავშირი საქართველოსთვის
EU4Justice

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
EMC
Human Rights Education and Monitoring Center

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

საქმეთა განაწილების ახალი სისტემა სასამართლოში

საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის შემუშავება, მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში დანერგილ, ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სიახლეს წარმოადგენს. საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით, განაწილების წესის მუშაობაზე ერთწლიანმა დაკვირვებამ, ახალი სისტემის სრულფასოვანი ამოქმედებისთვის შემდეგი მნიშვნელოვანი გამოწვევები გამოავლინა:

- მოსამართლეთა სიმცირე, რაც გამორიცხავს შემთხვევითობის პრინციპით საქმეთა განაწილებას ყველა სასამართლოში;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ იმ საგამონაკლისო შემთხვევების გაზრდა, რომლებზედაც არ ვრცელდება საქმეთა შემთხვევითად განაწილების პრინციპი;
- სასამართლოს თავმჯდომარისათვის შენარჩუნებული პრობლემური უფლებამოსილებები, მათ შორის, კონკრეტულ სასამართლოებში მოსამართლეების განაწილება ვიწრო სპეციალიზაციებში თავმჯდომარის ერთპიროვნული გადაწყვეტილებით;
- კანცელარიის თანამშრომლების მიერ საქმეთა რიგითობით განაწილების ხარვეზიანი წესი და პროგრამის შეფერხებისას მოქმედი მნიშვნელოვანი ეტაპების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დარეგულირება;
- საპროცესო კანონმდებლობის არაერთი დებულების წინააღმდეგობა საქმეთა განაწილების ახალი წესის პრინციპებთან;

2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, განაწილებული საქმეები



- შემთხვევითი განაწილების პრინციპით განაწილებული საქმეები
- შემთხვევითი განაწილების პრინციპის გარეშე განაწილებული საქმეები

სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება სრულად ხელმისაწვდომია: https://goo.gl/KkxrJ7. დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, პირველი ინსტანციის სასამართლოებში განაწილებული საქმეები



სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება სრულად ხელმისაწვდომია: https://goo.gl/KkxrJ7. დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, სააპელაციო სასამართლოებში განაწილებული საქმეები



2017 წლის 31 დეკემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, უზენაესი სასამართლოებში განაწილებული საქმეები



სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება სრულად ხელმისაწვდომია: https://goo.gl/KkxrJ7. დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი“(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას:

- **საქმეთა ელექტრონული განაწილების საკითხების საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება;**
- **ყველა სასამართლოში საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპის მაქსიმალურად დაცვა, მოსამართლეთა სათანადო რაოდენობის უზრუნველყოფის გზით;**
- **მოსამართლეთა მორიგეობის წესის ცვლილება, სპეციალიზაციისა და შემთხვევითობის პრინციპის დაცვით, მოსამართლისთვის საქმის გადასაცემად;**
- **ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა განაწილება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით;**
- **საქმეთა კოლეგიური განხილვისას, კოლეგიური შემადგენლობის სამივე მოსამართლის შერჩევა ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით;**
- **აცილების/თვითაცილების შემთხვევაში საქმის ხელახალი განაწილების პროცედურისა და ვადების გაწერა და ამ პროცესში სასამართლოს თავმჯდომარის ჩართულობის გამორიცხვა;**
- **"განსაკუთრებული გარემოებების" არსებობისას საქმის სხვა მოსამართლისთვის დროებით გადაცემის საფუძვლებისა და პროცედურის ნათლად გაწერა;**
- **სასამართლოს თავმჯდომარისათვის მოსამართლეთა დატვირთულობის შემცირების ან/და გაზრდის უფლებამოსილების ჩამორთმევა;**
- **მოსამართლეთა თანაბარი დატვირთვის უზრუნველსაყოფად საქმის წონის სამართლიანი და ობიექტური პრინციპის განსაზღვრა;**
- **საქმის განაწილების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ელექტრონული პლატფორმის ფორმირება/ამოქმედება, თითოეული სასამართლოს მონაცემების დროულად და სრულყოფილად მოძიებისა და დამუშავების მიზნით.**

სასამართლო რეფორმის შედეგების შეფასება სრულად ხელმისაწვდომია: https://goo.gl/KkxrJ7. დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი"(EMC) და „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (IDFI) და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.